

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1 9 1 4

ქ. ბათუმი, 11 მაისი 2018 წ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 7 მაისის №1832 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 7 მაისის №1832 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანებით დამტკიცებული „შემოვლის ფურცელი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ადგილის სარგებლობის შეზღუდვისათვის“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.

ბ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 6¹ პუნქტი:

„6¹. ამ ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოები, რომელთა წარმოება განპირობებულია ავარიით ან/და გადაუდებელი აუცილებლობით, შესაძლებელია დაწყებულ იქნას ბრძანებით განსაზღვრული თანხმობის მიღებამდეც, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურთან შეთანხმებით. ამასთან, სამუშაოების მწარმოებელი პირი ვალდებულია მიიღოს თანხმობა საერთო წესით.“

გ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 11¹ პუნქტი:

„11¹. ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაცემულ თანხმობებზე შემდგომი პროცედურები განხორციელდეს ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული წესით.“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თენგიზ პეტრიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ

შემოვლის ფურცელი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ადგილის
სარგებლობის შეზღუდვისათვის

ემლევა:

მის:

საზოგადოებრივი ადგილით სარგებლობის შეზღუდვის მისამართი:

შეზღუდული ადგილის ფართობი:

კვ.მ.

სამუშაოების წარმოების დაწყების თარიღი:

სამუშაოების წარმოების დასრულების თარიღი:

დაზიანებული ადგილის აღმდგენი:

შეთანმებულია:

1. საპატრულო პოლიციის უფროსი

2. საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის აჭარის ა/რ
მთავარი სამმართველოს უფროსი

3. სს. „ენერგოპროჯორჯია“-ს დასავლეთ საქართველოს
რეგიონალური ფილიალის უფროსი

4. შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“ -ს უფროსი

5. სს „სილენეტი“-ს აჭარის სერვისცენტრის
უფლებამოსილი პირი

6. შპს „მაგთიკომი“-ს უფლებამოსილი პირი

7. შ.პ.ს. „ბათუმის წყალი“-ს უფროსი

8. შპს „აჭარგანათება“-ს უფროსი

9. გზის საფარის აღმდგენი ორგანიზაცია

10. ადმინისტრაციულ ერთეულში
სერვის ცენტრის მენეჯერი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია გაფრთხილებთ:

ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდგომ აუცილებელია სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის აღება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ გატარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152 მუხლით გათვალისწინებული სანქციები, კერძოდ:

1. ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში, გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიულ პირთა დაჯარიმებას - 3000 ლარის ოდენობით.

აკრძალულია სამუშაოების დაწყება მუშა მოსამსახურის, საჭირო მასალებისა და მექანიზმების, შემოსაღობი ფარების, სანათი მოწყობილობების, საგზაო ნიშნებისა და მაჩვენებლების უზრუნველყოფის გარეშე. მასალები და მექანიზმები უნდა განლაგდეს უსაფრთხოების წესების დაცვით. აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობა.

**მიწისქვეშა სამუშაოების მოწყობა-გადაკეთებისათვის გათხრითი
სამუშაოების წარმოებისათვის თანხმობა გაიცემა ზემოაღნიშნული
მოთხოვნების შესრულების პირობით**